



# თავთრი სხუპრება

სამეცნიერო სალიტერატურო ჟურნალი

№ 34—1917	წელ. მესამე	ფასი
კვირა მარტო. 27.	გამოცემისა.	25 კ.



ილია ჭავჭავაძე  
(1837 — 1907 — 1917) კარდაცვალებიდან  
ათი წლის შესრულების გამო.

## გაზაფხული

ტუმ მოისს ფოთოლი,  
აგერ მერცხალი ჭჭუივის,  
ბღმი ფაზა რბოლა  
შეტის ტრემლითა სტირის.

აეაეგებულა მდელა,  
აეაეგებულან შთები,  
მამულა საეარელო  
შენ როსლა აეაეგები!  
ილია ჭავჭავაძე

1860 წ.



კიტა აბაშიძე  
აგადმუკოების გამო.



ძუკუ ლოლუა და ი. გრიშაშვილი.  
კონცერტებს გამართავს.

შარამობისთვის 27.

სამშობლოს ძველი რუსეთი ირღვევა...  
სადიდებლად! ირღვევა მისგან შექმნილი სამხედრო, სამოქალაქო, საეკლესიო წყობილება.  
ძველში რუსეთმა თავისუფლად შეერთებულ ანუ დამორჩილებულ ერებს ბევრი შხამსამსალა შესევა.

მოთმინების ფილა აღივსო და გადმოხეთქა...

ყველა ჩაგრულმა ერმა დღეს თავისუფლად უნდა ამოისუნთქოს, მონობის უღელი მოიშოროს და სრულუფლებიან ერად იქცეს.

ამისათვის საჭიროა თვითმოქმედების უნარი. საკუთარი ფხის გამოჩენა.

შუღლი და განხეთქილება დროებით მაინც უნდა უარყვოთ-

არა მხოლოდ ლუკმითა ცხონდების კაციო, —საჭიროა ჩვენი ეროვნულ-ხალხოსურ ცხოვრების ყოველი მხარე ხელთ ვიგდოთ.

ყველაზე მეტად დღეს ჩვენი სოფელია დარღვეული. ბევრ ადგილას პარტიულ მისწრაფების გამო უღირსი ადამიანებია გაბატონებული, ღირსეულნი—განდევნილი.

ეს წინადაც შეგვინიშნავს.

დადგა დრო, ეს შეცდომა გავასწოროთ და სოფლის საქმე ჩავაბაროთ პარტიულობის მიუხედავად, სოფლის მცოდნე გულშემბტკივარს.

სამშობლოს სადიდებლად ყოველივე პირადუი და პარტიული უნდა უარყვოთ და ყველგან შევერთდეთ!

ამას გვავალებს რევოლიუცია, ჩვენი სამშობლო და დემოკრატიის გამარჯვება!..

## ქართული კლუბი

გადაარქვეს. იყო, „ახალი კლუბი“, გადაიქცა, ქართულ კლუბად, მაგრამ ფაქტიურად იგი ისევ რუსული კლუბია და არა ქართული. ქართული მას არა ემჩნევა, გარდა ორიოდ ქართულ წარმოდგენების, ისიც უიღვო და ფუჭი ვოდვეილების, დანარჩენი კი: ოპერეტა, ოპერა, დრამა, მუსიკა სულ რუსული.

მაგრამ რაც აქამდინ იყო, ღმერთმა აპატიოს კლუბის მამასახლისებს და აწი რას შფიქრობენ?

თურმე საზამთროდ აწყობენ რუსულ ოპერის დასს. ეგ პირდაპირ დაცინვაა. რუსულ ოპერის წინაღმდეგ არავინ მიდის, პირიქით ჩვენ დიდი სიამოვნებით ვუსმენთ რუსულ ოპერას. მაგრამ ქართულ კლუბის მესვეურებს უწინარეს უნდა ეფიქრათ ქართულ ოპერის მოწყობაზე. განა არ მოიძებნებიან ქართული საოპერო მსახიობნი? შულგინისა ავასოვისა, სარაჯიშვილი, ლეჟავა, ლორთქიფანიძე, ჭუმბურიძე, ავასოვი. კურბატოვი და ბევრი სხვა? ესლა რუსეთში რამდენია ქართველი მომღერლები დაფანტული? განა არ გვყავან ჩვენც ლოტბარ-კომპოზიტორები, როგორც: და. არაყიშვილი, ზ. ფალიაშვილი, სულხანიშვილი, ბალანჩივაძე, ფოცხვერაშვილი? განა არა გვაქვს ჩვენი საკუთარი ოპერები? რამდენიც გნებავდესთ. მაგრამ ყველა ამაზე კლუბის მესვეურნი მიზასუხებენ, რომ ჩვენ ანტრეპრენიორები არა ვართო. დალოცვილები, თუ კი რუსულ ოპერის ანტრეპრენიორობას თავობენ და აუარებელ ფულს ხარჯამენ, ქართულმა რა დააშავა? რა ღირს ქართულ ოპერის „აბესალომ და ეთერის“ ან „პატარა კახის“ ყურება.

ორკესტრი კლუბისა? განა ქართულ კლუბის ორკესტრს არ შეუძლია მობეზრებულ ვალსების მაგიერ, შეასრულოს ქართული მუსიკალური ნომრები? განა ჩვენს კომპოზიტორებს ჩვენი მუსიკა ცოტა აქვთ გადაღებული ნოტებზე?

ქართული წარმოდგენები? განა ეგ წარმოდგენებია, ჩვენ რომ უყურებთ კლუბის სცენაზე? ეგ ხომ ხელოვნების ძირს დაცემაა. ჩაციებთან ქართულ მსახიობებს, გინდა თუ არა სამასხარავო ვოდვეილები ითამაშეთო. ამითი ქართული მსახიობნი უაზრო ვოდვეილების თამაშით თავის ნიქსაც იფუჭებენ და ჩვენს ესთეტიურ გემოვნებას სრულიად არ აკმაყოფილებენ. საჭიროა ამას დიდი ყურადღება მიექცეს. მოგვაშორეთ უაზრო ოპერეტები და მეტი ხარჯი გასწიეთ ქართულ სას-

ცენო ხელოვნებაზე, დაგვანახვეთ ნამდვილი ქართული წარმოდგენები. ამას ბევრი ფული არ დასჭირდება. უნდა გაფართოვდეს საზამთრო კლუბის სცენა და კლუბი თავის შემოსავლით ყოველთვის დაფარავს ხარჯს. სამაგიეროდ შესაძლებელი იქნება მხატვრული პიესების დადგმა.

ყველგან ვრცელდება ნაციონალიზაცია და ჩვენს კლუბს კი არ შეეცყო არაფერში. საჭიროა შემოსხენებული წინადადებები მიიღოთ მხედველობაში და გადადგათ ნაბიჯი მის განსახორციელებლად ან და სიტყვა ქართული წაშალეთ და დაარქვით „გადამრჯულებული კლუბი“.

**ს. წერეთელი**

**სამშობლოს**

ჩემო სამშობლო, იზეიმე და გაიხარე.

ნუ თუ არ გეყო რაც აქამდე ტრემლები დგარე! ზეზე წამოდექ, გაიმართე წელში ამაყად, სამშობლო ტკბილი საბრძოლველად გამოდი გარე...

ნუ თუ არ გეყო, რაც აქამდე გთქვას, გწამეს, ნუ თუ არ გეყო რაც უეჭუე უკუნეთ დაშეს? დღეს დაგიდგა დღე სიამართლის თქმის, დღე განახლების

და შენ კი სდუმხარ.. რაზედ სდუმხარ? უეჭრებ რამეს?..

ეჭვ, ნუ უეჭრებ ჩემო კარგო სხვის დაზიარებას. ხომ დაინახე რაგორ იბრძვის მთელი ქვეყანა? ხედავ ფინელებს ვით ართმევენ თავისუფლებას? და შენ კი, შენ კი.. და მუნჯებულს მოგცემენ განა?!

შენ ხომ არავინ, სულ არავინ არ დაგინაგრავს, მამ შენ რად გჩაგვრენ? შეკეათხე.. რასა გერჩიან?!!

ხმა ამოდექ, სიამართლისთვის ვერვინ ვერ დაგვრავს,

ხმა, საყვარლო, თორემ შემდეგ იქნება გვიან. ჩემო სამშობლო, იზეიმე და გაიხარე,

ნუ თუ არ გეყო რაც აქამდე ტრემლები დგარე? სამშობლო ტკბილი გაიმართე წელში ამაყად. სამშობლო ტურთავ საბრძოლველად გამოდი გარე..

**საფო მკვლძე**

**„აქეთ-იქით გამარჯობა!“**

(გაგრძელება. იხ. „თ. ლ. ც.“ № 38)

**VII**

ერთხელ შეხვედრის დროს მიხაკამ მიამართა ლაზარეს:

— ლაზარე ხვალ ქალაქში უნდა წახვიდე!

— ბატონი ბძანდები რა, დაგზარდები თუ.

მეორე დღეს, ჯერ არც კი ერაფრაჟა კარგად, რომ ლაზარემ მოიკიდა ზურგზე თავისი განუყრელი ამხანაგი, წითელ ბალნიანი ხბოს ტყავის გულა და გაუდგა ქალაქის გზას.

ვიდრემდის ქალაქში შევიდოდა, უკვე გული იოხა ლაზარემ „გამარჯობას“ თქმით და კეთილშობილური სიამაყით აღსავსემ და გაბრუებულმა უღვაშებში ჩაიციინა და წარმოსთქვა: ერთმაც ვერავინ დამასწრო გამარჯობის თქმა! შევიდა ქალაქში და თითქმის ყოველ ნაბიჯის გადადგმაზედ დასჭირდა თქმა „გამარჯობისა“—ლაზარე კი იქნებოდა, რომ გაეშვა ვინმე „გამარჯობის“ უთქველად. მაგრამ განგებ მოახდინა ეს, თუ უნებლიეთ მოუხდა—გზა „დახურულ ბაზარზედ“ ამოიჩივა. და აი სწორედ აქ ჩავარდა ლაზარე დიდს განსაცდელში და გააქირში. ლაზარე პირდაპირ ქუჩის შუა გულს გაჰყვა, ხოლო ქუჩის ორსავე მხარეს გამწკრივებულ დუქნებს ისე ახლო უვლიდა იგი, რომ მისი შეგნება „მართებულობისა“ ნებას არ მისცემდა მას, რომელიმე დუქნის პატრონი ანუ მასთან სავაჭროდ მისულნი უყურადღებოდ დაეტოვებინა და „გამარჯობა“ არ ეთქვა. მეორეს მხრით სიმრავლე „გამარჯობის“ მომსმენთა თითქმის შეუძლებლად ხდიდა ლაზარესათვის დაეცვა ეს „მართებულობა“ სავსებით, უნაკლულად. მაგრამ „ჩემი ყისმათი ყოველთვის თან დამდევსო“, ამობდა ხალხმე ლაზარე და ამ ეპიდაც თურმე თანა ჰხლებოდა. ამ ყისმათის ჩაგონებით-კი გაბედულად დაჰძახა: „აქეთ-იქით გამარჯობა!“ „აქეთ-იქით გამარჯობა!“ „აქეთ-იქით გამარჯობა!“.. და აი

ასე იხსნა თავი ლაზარემ გაქირებისაგან და უფრო კი განსაძღვლისა და შერცხვენისაგან.

ვინც მოცლილი იყო და მუშტრის გზას გაპყურებდა, მას ესმოდა ლაზარეს სალამი და იღიმებოდა. ხოლო ჯერ ბაზრის ნახევარიც არ გაველო მას, რომ შეჭხვდა სოფლელი ნაცნობი ბიჭი, რომელმაც მიაძახა: „ოჰ, ლაზარე! აქ რა გინდა?“

გაიგონეს თუ არა მოცლილმა ბაზრის ბიჭებმა მისი სახელი, ერთი დასცეს ყიჟინა: „ლაზარე!“ „ლაზარე!“ „ლაზარე!“...

ლაზარე პირველად გახეტდა უცბად ამ ყიჟინაზედ, ხოლო, როცა გონს მოვიდა, ძლიერ უბოძა, რომ „ამოდინა მართებულ ხალხს“ უცვნია იგი და ხან ერთს შეეკითხა, ხან მეორეს: საიღამ მიტნობ, რომ ლაზარე მქვიანო, რას მიზრძანებ შენი ჭირიმეო.

— შენმა ცოლმა რო საკაბე ჩითი დაგაბარა, მოდი, მოგყილო, რაღა!

— საკაბეს კი არა, შევქვას ვუყიდი მე იმას! ის კი არამი არ არის იმისთვის, რაც ზედ აცვია!

— რათ უწყურები მაგრე, ხომ არ მიგბეგვამს ხოლმე?

— მიბეგვაზედ თუ მიდგება! შენ ხათრიჯანი იყავი, მე იმას კარგებს ავაყვანინებ ხოლმე ბექკაში! მაგრამ გძელი ენა აქვს იმ რძე ძაღლს და ვერ იქნა, ვერაფერი მეშველა და ვერ დაფუშოკლე მე იმას ენა!

— ლაზარე!.. ლაზარე!.. აქ მოდი კაცო!

— აბა, რა გინდა შენი ჭირიმე?

— იმასთან რო ვაქრობდი, არ იცი, რომ ის მოგატყუებდა? აი, მოდი ჩემთან, ჩემო ძმავო, ყველაფერი, რაც გინდა, პირიანად მოგცე, აი, კაი სტამბოლის ჩითები. გასათხოვარი გოგო ხომ გყავს? უყიდე, კაი საქონელია. თუ გინდა, ბაშმაკებიცა მაქვს.

— ეჰ, გასათხოვარი გოგო კი მყავს, მაგრამ იმასაც იმ ძუძუ ძაღლს თავის დედასავით გძელი ენა აბია.

— კაცო, სხვა შვილებიც ხომ გყავს.— ან ბიჭები ან გოგოები? — იმათუყიდე რამე ან საპერანგე ან სახალათე ან სახალაუხე, ნუსქვირობ.

— იი შგრივო კი ეღინოთ იმათ, კაი შვი-

ლები მე ისინი მყვანან! ლუკმას რო ვაქმევე — ისიც არამია იმათთვის.

— მაშ, შენთვის იყიდე რამე!

— მე სავაქროთ არ ჩამოვსულვარ შენი ჭირიმე. მიხაკამ გამომგზავნა თავის ძმასთან და იმასთან მივდივარ.

— მაშ გასწი გაიარე! ტყუილად რაღას გვაძღენ ამოდენა ხალხს და დროს გვაკარგვარგვინებ?

— აკი მე ჩემ გზაზედ მივდიოდი. თქვენთვის არ დამიძახეთ!

და გაუდგა ლაზარე თავის გზას „აქეთიქით გამარჯობა“-ს ძახილით, ვიდრემდის გასცილდებოდა „დახურულ ბაზარს“. ხოლო ბაზრის ბიჭებმა მთავალს მათთან ყიჟინა: „ლაზარე!“... „ლაზარე!“... „ლაზარე!“...

(მელანია დასასრული იქნება)

# ნელა, ნელა!..

## I

ნელა, ნელა ადამიანო, რატომ აგრე დაუწდობლათ მოაბოტებ ე ტყეში..

ვერა ჰხედავ ორმოგბში გაყვითლებულ ფოთლებს?.. ეს გაზაფხულია... ეს გაზაფხულის გვამი ასვენია შიგა...

ქული მოიხადე... მოიხადე ქული ადამიანო... ჰქ გაზაფხულო ასვენია კულრაქა ნივის ფსალმუნთა და ია ვარდების სიხასხას ით... ფრთოსანთა კრიმანქულითა და ნაკადთა ჩხა რიალ-რაკრაკით...

## II

ნელა.. ნელა მეგობარო, არ შეახო ხელი ჩემს ბეჩავს გულსა... ნელა შენს მხესა... იგი სამარეა... ის სამარეა ახლათ გათხრილი... მასში ასვენია ჩემი პირველი სცყვარული და პირველი ჰომნი საგარიყრაყო... მუნ ასვენია ლალით მოსილი ოცნება ჩემი და ნეტარების ცრემლით მოჭვილი სულის სიცილი...

ნელა, ნელა მეგობარო... ნუ შეახებ მას ხელს...

ნუ გამიარჯლებ მტანჯავ იარებს:..

დ. თურდოსპირელი

20 ივნისი 1917 წ.

ქ. ზურაბიძე (ბუკოვინა)

# თაღნიანი სალაში

# ცხოვრების ტაღლებში

(ნაწევრი)

ვარდი დასკვნა და დაზამორდა.  
 დაზამორდა და ჰოვოს. ჰოვოს და ჰოვოს..  
 ცირა გაზაფხულს იგონებს,  
 იგონებს და ჰგლოვს, ჰგლოვს და ჰგლოვს..

ცირა-სათნო გენაცვალე,  
 გენაცვალე ნუ, ნუ, ნუ ჰგლოვ;  
 გამოეწყვე საქორწილოდ,  
 საქორწილოდ. ამას გთხოვ. გთხოვ...

მცივა, მცივა, მეშინიან...  
 მეშინიან სიკვდილს ვცნობ, ვცნობ...  
 შავი კუბო მელანდება,  
 უსიკვდილოთ სიკვდილს ვგრძნობ, ვგრძნობ

ეკლესიის გალავანში  
 ცა სამარეს თოვლს ათოვს. ჰოვოს  
 ის ჩემია, შენ გათხარე,  
 შენ გათხარე ხომ, ხომ გახსოვს?..

მოიგონე... მაგრამ არა,  
 მოგონება განა ღირს, ღირს!  
 კვდები, მივალ სამარეში,  
 სამარეში დაბლა ძირს. ძირს...

იქ სიკვდილი მეგულება,  
 მეგულება და ვკნეს იპ, იპ!  
 სათნო-სატრფო მე ქირიმე,  
 მე, ქირიმე, მნახე იქ, იქ..

ცივ საყდარში სიკვდილის წინ,  
 სიკვდილის წინ, აპ, ვლოცვილობ,  
 ჩენს სიკვდალზე ქორწილა მაქვს,  
 ქორწილი მაქვს აპ! ვქორწილობ.

შავს კუბოში თეთრ ლოგინსა,  
 თეთრ ლოგინსა შავად ვქსოვ, ვქსოვ..  
 სატრფო სათნო აწ მშვიდობით,  
 მშვიდობით და ამას გთხოვ, გთხოვ..

სულსა მონისას შენისას  
 განუსვენე და ნუ ჰგლოვ, გთხოვ...  
 სახესა შენსა წმინდასა  
 ვეთხოვები, ვტოვებ ვგლოვ, ვგლოვ...

დავით კობალი

ზამთარი იყო... თოვლი ბარდნიდა; ქა-  
 ლაქს ღამე ეუფლებოდა...

— მე მხოლოდ შენ მიყვარხარ მიშო,  
 შენ...— ეუბნებოდა ნამტირალევი ქალი ხმის  
 კანკალით ვაჟს, — ქალაქის ბადის თავში — რო-  
 მელიც იქვე მახლობლად მდგომ ევროპიუ-  
 ლად ჩაცმულ კაცზე უთითებდა და არიგებდა  
 რომ წაჰყოლოდა მას „ფულის“ საშოვნელად.

— თუ გიყვარვარ ოლია, ეხლა დაამტ-  
 კიცებ.— უთხრა ვაჟმა და დააპირა მოხმობა  
 უკვე წინადვე მოლაპარაკებულ კაცისა, მაგ-  
 რამ ქალი მუხლებზე დაეცა და შეეფედრა  
 ქმარს, რომ აეღო ხელი თავის განზრახვაზე.

— არ შემძლიან, არა! — ეუბნებოდა ქა-  
 ლი და სტიროდა ცხარედა.

— არ შემარცხინო ოლოდ ამ კაცთა-  
 ნა; დაპირებული ვარ. ის თანახმაა მოგცეს  
 რამდენიც გინდა, ადექი, სირცხვილია. — უთ-  
 ხრა და წამოაყენა ზეზე.

— მიშა, გენაცვალე, მეშინიან.

— ამა რისა გეშინიან ჩემო კარგო?  
 ხომ არ შეგქამს!

— შენი ცოლი და სხვასთან? სულ ორი  
 ვირის ჯვარ დაწერილი...

— ოჰ? აბა! ოლია რეებს ამოვბ? — ანუ-  
 გეშებდა ცოლსა და სცდილობდა დაეთან-  
 ხმებინა.

— მიშა შენი ქარიმე; მომკალი ბარემ.

— ჩემო ოლია გაქირდა ცხოვრება, შენ  
 უნდა დამეხმარო, სანამდის ამ ორ უკანასკ-  
 ნელ კურსსაც გავათავებდე. შემდეგ-კი რო-  
 დესაც დივამთავრებ, აღარა გაგვიქირდება-რა!  
 ვიცხოვრებთ ტკბილად, უზრუნველად. — უთ-  
 ხრა და მოიხმო უცხო.

— მიშა! დაფიქრდი რა გზაზე მაყენებ.

— ეუბნებოდა ვედრებით ქალი, მაგრამ ვაჟი  
 უკვე აღარ უსმენდა და მოახლოვებულ „სტუ-  
 მარს“ ღიმილით ეგებებოდა და ეპატიებოდა.

— გაცვანით! ეს ჩემი... — უნდა ეთქვა  
 „ცოლიო“ მაგრამ ძალამ უსუსტა — გაცვა!  
 ით... — დაატანა კვლავ და მღუპარედ ცრემლ-

მფრქვევ ქალს ხელი დაუჭირა და გაუწოდა მოსულს.

— ბონ-სუარ მა-სილეილ!—მისალმა ფრანგულად ქალს ახლად მოსული—იმედია ჩემთან არ მოიწყენთ. აღონ ფერ ენ პტი ტურ დე პრომენად!—უთხრა, მკლავი მკლავში გაუყარა და მივიდა ქუჩის-პირას მდგარ ავტომობილთან. ავტომობილმა დაიფუფუნა, და მსწრაფლ მიეფარა სახლებს. მიშა კი იღვა და გაჰყურებდა სიამოვნებით შემდეგ კი, როს გამობრუნდა და დააპირა სახლში წასვლა,—ვით მოწმენდილ ფირუზისფერ ცისა კამარას გადაეკვრის ღრუბელთა ქულა, ისე დაც მის გულს შემოეხვია სივდისა ნისლი და დაწვა მძიმე ლოდით. სუნთქვა უმძიმდა. ბალის რკინის მოაჯირს ოხვრით მიეყრდნო სინდის ქენჯნილი... თითონაც ვერ წარმოედგინა თუ რათ მოიქცა ასე და თვის და უნებურ თავში წამოიკრა:

— ვაი-მე! ოლია, ჩემო საყვარელო ოლიკო! რა გიყავი, რაა? ვის სარეცელს დაამშვენებ ამ ტიალ ლამეს?—იგი ეცადა გამოსდგომოდა უკან, მაგრამ თითონვე ჩაეცინა მწარედ თავის განზრახვაზე.

— სისულელეა! რა უშავს? ან ვინ გაიგებს... შეეჩვევა., სულ-ერთია. მე მაინც მიყვარს. ჰა! იქნება დამტოვოს? არც ამაზე ვიღარდებ, სხვებიც მრავალნი არიან.,— მიდიოდა შინისკენ და თან ამ სიტყვებს ბუტბუტებდა.

ჭრამულობდა მოუსვენარი ქალაქი. თოვლი კი კვლავ ბარდნიდა,...

მეორე დილას,—როს მზემ თავისი ძალა გამოლოებული სხივები შეათამაშა თეთრად გადაპნტილ ქალაქის არემარეზე—ჯერ ისევ ლოგინში მწოლარე მიშას მოესმა კარზე კაკუნი. ადვა და გაულა; ოლია ეგონა. გულის ფანცქალით მოელოდა მას მის წინ სასტუმროს მსახური იღვა დახურული წერილით ხელში მიშას მისამართით, ცივმა ჟრუჟანტელმა დაუარა ტანში და ძლივს გახსნა კონვერტი. ხელები უკახცახებდა, შიგ ეწერა: „მე დავამტკიცე შენდამი სიყვარული... რა-რიგ მიყვარდი! მშვიდობით!... ოდესღაც შენი ოლია“. წერილთან ერთად ქალაქის ოც-

და ხუთი მანეთიანიც იყო, ფულის დანახვაზე სახეზე ღიმილი გამოეხატა, მაგრამ კმუნვარება ჩაერთო შიგ წაითხულ აშპის გამოდ. მსახურს გამოჰკითხა რომელ სასტუმროში იყო და ოლიას ოთახიც, რის შემდეგაც დაითხოვა, საჩქაროდ ჩაიცვა ტანთ-საცმელი და გაემართა იქით ავიდა მეორე სართულში და დააკაკუნა ილიას ნომერი. პასუხი არ მოესმა. შეაღო კარი და მოწიწებით გადააბიჯა კარაპანს. შიშმა შეიპყრო. სურათი თავზარ დამცემი წარმოუდგა: ზეწარით ქალზე ეკიდა ოლია, რომელსაც თვალები ქუთუთოებიდან გადმოსცვივროდა და ენა გადმოეგდო. მუხლები მოეკვერნენ მიშას და მოწყვიტილი დაეშვა სავარძელში. დიდ-ხანს ეერ მოვიდა გონზე. აქა-იქ ელოდა მაგიდაზე შამპანურის ბოთლები და დაჩენილი ძვირფასი საქმელები. მაგიდაზევე იყო პაწია ბარათი შემდეგი შინაარსისა: ჩემ სიკვილიში ნურავის დასდებთ ბრალსა. მე ასე მსურდა... სულ-ერთია! ვიყო თუ არა. მე წვეთი ვარ თვალ-უწვდენ ოკეანესავით აღქაფებულ ცხოვრების ტალღებში...“ ხელს ოლია აწერდა. მიშას სახარულს საზღვარი არა ჰქონდა: თავიდან იცდენდა პასუხის-მგებლობას. დააპირა ჩამოხსნა სარჩობელიდან, მაგრამ შეჩერდა. წასვლა გადასწყვიტა და კარს რომ მიუახლოვდა, მოესმა ხმაურობა და ფეხის ხმა კიბეზე პოლიციელებისა. უნდოდა გვერდი აეხვია და ჩასულიყო, მაგრამ ბოქაულმა შეაჩერა... მიშას ფერი ეცვალა, სულმდაბლობამ ააკანკალა...

ს. ერთაწმინდელი

ქართული საეკლესიო კითხვა--გალობა.

მარიამობის 15 საქართველოს ეკლესიის ცხოვრებაში ისტორიულ დღედ უნდა ჩითვალოს.

ამ დღეს სიონის დიდებულ ტაძარში მრავალი სამღვდლოეზისა და დიდ ძალი ერის თანდასწრებით აღადგინეს სწორედ ერთის საუკუნის წინად გაუქმებული თბილელ-მიტროპოლიტობა. მიტროპოლიტად კურთხე-

ულ იქმნა ლეონიდე მღვდელმთავარი.

ამ ამბავში ბევრ დამსწრეს სასოების ცრემლი მოჰგვარა.

თითოეული ქართველი მორწმუნის გული ნეტარებითა სცემდა, რომ უსამართლოდ ფეხქვეშ გაქელილი უფლება ერისა აღდგენილ იქმნა.

და ულოცავდნენ უთიერთს.

ამ ბრწყინვალე დღემ ბევრი სიმწარეც განგვაცდევინა.

ერთი საუკუნის მონობის შედეგი მთლად თვალწინ დაგვხატა.

ჩვენის ეკლესიის გარეგნობასა თუ შინაგნობას—სხეულსა თუ სულს—საშინელი გადაგვარება ეტყობა.

ძველის ძველი საკათალიკო-სამოციქულო ივერიის ეკლესია ძალად-მაცხონე ბატონის უხეშმა ჩექმამ ფეხქვეშ გაქელა და მთლად გაცამტვერებას უქადა, მაგრამ მიზანს ვერ მიახწია.

დღეს, როგორც ჩვენი ეროვნული ცხოვრების ბევრი სხვა მხარე უცხო გავლენისაგან განწმენდა-განკურნებას ითხოვს, ისევე ეკლესიაც: უნდა განიწმინდოს იგი!

თანამედროვე ქართველის სულსა და გულს რუსულ ყაიდაზე მორთული წეს რიგი აღარ დააკმაყოფილებს.

საქართველოს ეკლესია მორწმუნეთათვის უნდა აღსდგეს მთელის თვისის ღირსებით.

ქართული ღმობიერი გალობა, ავაჯით და მკაფიოდ გამოთქმული განსაკუთრებით მონასტრული, ეს ხომსულის ცათამდე აღმყვანია, ნამდვილი ქართული ძველებური კთხვა სახარებისა, სამოციქულოსი, დაუჯლომელის, მარხვანის (სამ საგაობელით), დავითნის და სხ., ეს ხომ სულისა და გულის დამატკობელი ჰიმნია!

მერე შეგხვდრით სადმე?—იშვიათად.

ხომ გინახავთ თავმინებებულ ყანას გვირილა რომ მოედება, ანუ ოხად დარჩენილ ვენახს ნარ-ეკალი გადაუვლის, —სწორედ ასე გადაიარა ჩვენს საეკლესიო თუ საერთო კულტურაზე რუსის ბერების მოუხეშაობამ და გაველურა...

კითხვა კითხვას არა ჰგავს გალობა—გალობას.

ყოველივე უკუდმართი, ველური უნდა განიდევნოს ქართული ეკლესიიდან.

საქართველოს ეკლესიამ თანამედროვე ცხოვრების თანახმად შინაგანი ცვლილებანიც უნდა მოახდინოს: წირვა-ლოცვის დროს შემოკლება თუ სხ.

ქართველი ბერთა შორის აქა-იქ კიდევ მოიპოვებიან ქართული გალობა-კითხვის მცოდნენი,

ამერეთში, სხვათა შორის, ასეთები არიან ტარსია მღვდელიმონაზანი (ქანდუჯაგი), არჩილ ბერი (თარაშვილი), გიორგი მწირი (ეპიტაშვილი) და სხ. ესენი გალობდნენ დარჩიის მონასტერში

უკანასკნელი მათგანი—გიორგი მწირი—თითქმის 20 წელიწადია მოღვაწეობს საეკლესიო გალობისა და კითხვის გავრცელების ასპარეზზე.

საჭიროა მათი ცოდნის გამოყენება.

უკურადღებოდ არ უნდა დაიტოვოს ნიკოლოზ (კიკუშა) სულხანიშვილიც, რომელიც ქართულ გალობის მცოდნედ ითვლება...

ვინ იცის კიდევ იმერეთში რავდენია მიმალული ასეთი ძალა?

საჭიროა მათი მოძებნა... და საზოგადორობა ძალთა ამოძრავება, რომელნიც ჩვენის ეკლესიის ეროვნულ ელფერს აღადგენენ.

დიდ, ჩვენი ეკლესია განახლების გზას უნდა დაადგეს არა მხოლოდ სახელით, გარეგნულად, არამედ სულიერადაც—შინაგანის არსებითაც. იოსებ არამათიელი

## გლეხის თხოვნა

— ერთი არზა დამიწერე, შენი ქირიმე! მომმართა ერთმა ყოფილმა გლეხმა.

— ვის უნდა მიართვა არზა?

— „პრისტავსა“, შენი ქირიმე

— ამხანაგო, რით ვერ გაიგე, რომ ეხლა „პრისტავი“ აღარ არის. თხოვნა თუ გინდა, კომისარს უნდა მიართვა.

— რავი, შენი ქირიმე, სულ ერთი არ არის „პრისტავი“ ან კომისარი? რასაც „პრისტავი“ ასრულებდა, კომისარიც იმას ასრუ-

ლებს, ტრანზიკების მაგიერად მილიციონერე, ბი ყავთ. მამსახლისის ადგილას, ჩვენი კო. მინტენტი. მარტო სახელები გამოიცვალა, თორემ საქმე ისევ ისე ძველებურად მიდის.

— მაგას თავი გავანებოთ, მაგაზე მერე მოგელაპარაკები: ვინ რას ასრულებს ან რა დანიშნულება აქვს კომისარს ან მის თანაშემწეს: ცხლა დროა არა მაქვს. საქმეზე დაიწყე. რა გინდა დაწერო თხოვნაში.

— ისა, შენი ქირიმე, რომ ე „ზერტელები“ რომ არიან, აი დამალული „სალდატეები“, სული გაგიმწარეს! როგორც ყაჩაღი არსენა, შუადლისას გვეცემიან. იმას რა უშავდა: ის მაინც მდიდარს ართმევდა—ლარიბს აძლევდა, მაგრამ ეგენი უფრო საწყალს იბრიყვებენ. ქათამი აღარ შეგევანარჩუნეს და ინდოური, „აქსიზნი“ რომ იყო, იმას რა

უშავდა, ქრთამით მაინც დავიყოლებდით ეგენი კი ღმერთმა შეინახოს: თუ პატარა ხილის არაყო გამოხადე და გავიგეს, მოვლენ და წაგართმევენ, დალევენ, დაითვრებიან და ისევ ჩვენვე გვეჩხუბებიან: რათა ხდითო! სიტყვას როგორ გაუბედავ,—ხანჯალსა და კეტს არ დავარიდებენ—სულ ერთია „გვენში“ უნდა დავიხოცნეთო. ჰო და ის უნდა დასწერო, შენი ქირიმე, რომ ეგება სოფელი გასწმინდონ, თორემ მეორე „გენი“ აქ გაჩნდება.

— მაგის შესახებ მე თითონ მოგელაპარაკები კომისარს. თხოვნა რა საქირია.

— ეგება გვიშველო რამე და ჩვენს კისერზედ დაგვაქდიე,—წამოჰკრა კიდეც მამსახლისთან დაჩვეულმა ქრთამის დაპირებამ და გამშორდა.

მუჰა ზაქარია ზემო-ხანდაკელი

## ნ ი ა ლ ვ ა რ ი

\*\*

ცა კობტაობს, ღრუბლის ნაკვთებს ათამაშებს, ახტუნებს, მზესა ჰფარავს ნაკვთებითა, მაზე ნაკვთებს აბრუნებს.

ხიბლავს სახე ხეებისა—მათ წვერების ქიცინის და პირბადეს ხან აიწევს, ხან იქიდან იცნის; მაგრამ რაღაც შუბლი ეკვრის, შავ დ ღებავს სამკაულს და ჰპირდება ის სამყაროს თითქო წარდუნა—სასწაულს.

\*\*

ცა შეირხა, შეტორტმანდა, გახდა იგი ავადა, ამოზნელდა, აძიგძიგდა ძირს ხმელეთი შავადა.

ჰა, აიწყო ცა და მიწის ჩანგი გლოვის გრძნეული და მადამო აქვითინდა ავადმყოფი—სნეული.

ჩანგზე სიმნი დაიჭიმნენ, უცბად მოსწყდენ სრიალით და მიწაზე მიმოცურდენ შხუილით და ღრიალით.

იპო ჯინჯირიძე



დავით პლატონის ძე თ. დადიანი.

პარუჩიკი ნნ ზოდელის ზოდელისა მოკლეუქ იქმნა რუმინეთში გმირულ ბრძოლაში,

# სოფლის მისიონერები

სურათები ერთ მკვებებად

## მომქმედნი:

1. გიო, ქადაგია—პროპაგანდისტი, სოფელელი გლეხის შვილი, თვითგანვითარებული, დეპოში ნამსახური, ნაციონალი. . . 28 წ.
2. თინა, მისი მიჯნური, სოფელელი, სოფლის სკოლაში ნასწავლი, თვითგანვითარებული 23 წ.
3. კეკე, თინას ამხანაგი, სოფელელი, გაუთხრავად დაჩენილი. . . 28 წ.
4. მარტირუზა, ) სოფლის მედუქნი, 35 წ.
5. სტეფანე, ) საქართველოს . 40 წ.
6. მელქო, სომხები (უსიტყვოდ) 45 წ.
7. პეტრე, მოწინავე გლეხი . 23 წ.
8. ტაკვია, ხელფეს-დაბრედილი 32 წ.
9. სანდალა, მუფანდურე ( გლეხები 25 წ.
10. ორთავჯან, ) 30 წ.
11. მამასახლისი, ჭადრაკი 45 წ.
12. თომა, სოფელელი გლეხი, 50 წ.
13. ვანტუა სადღატი, ღობისაა ჭადრაკის კაბი. . . 23 წ.
14. გიორგი ჯარისკაცი . . . 25 წ.
15. მიტო, დუქნის ბიჭი.

ქალთა გუნდი, გლეხთა გუნდი, სოფელელი—გლეხნი განსაკუთრებით ხნიერი და უწვერ-უფაშანი.

სემანა: შარა გზის პირი სოფლის დუქანი. მოზარდობით სოფლის სამა თველო, მოედანი. მრავალ ტოტა ხე, ახალკვირტ გამოდებული მოსხანს მთა გორები. მოკამკამებული ცა გაზაფხულია. ხეზე წითელი დროშა ფრ ალგებს. დუქნის დირეზე სხედან თომა, ჩიბუხს სწევს, და ტაკვია. მოსიმის სიმღერა, ფარდის ახდამდე.

გლეხთა გუნდი (სიმღერით, წითელი დროშით. მღერაინ ძველ მუშურ პირიქითულ კი-ღობზე).

## პირველი პირი

ზამთარი გასწყდა წელშია, თავი ამოჰყო ყანამა,—  
იკურთხე მუშის მარჯვენავ,  
ის შენმა ოფლმა დაჰნამა,  
მზე შემოგვინის სიამით,  
იამოს შენისთანამა!

## მეორე პირი

მეფე ნიკოლოზ დაემხო,  
უწია ცოლის დანამა,—  
დაემხო მეფე ნიკოლოზ,  
უწია ცოლის დანამა.

(ჩაივლიან)

თომა (გაგვირგებელი) სიზმარია თუ ცხელი... თუ მკვდრები სდგებიან საფლავებიდან. ე რაები მესმის!.. (თითქო გუჟმა ამოსახსო) ჰა? ყურში არ შედის, არა!..

ტაკვია. არც მაშინ შევა ყურში, როცა პრიტავ-ნაჩაღნიკისა და ტრაქნიკ-მამასახლისის მათრახი აღარ მოგხვდება!..

თომა, ეჰ, შევიღოსა, ამ ათიოდე წლის წინადაც მაგრე იძახოდით: ხემწიფე უშუშის ფეხებზე დვას, ერთი სარმალა აკლია, გამოვკრავთ და დაეცემაო.—გახსოვს? ჰო და ვინ იცის გველმა თავი მოიძინარა და მერე უცებ დაგვშხამოს!

ტაკვია. სულელი მე ვარ, შენისთანა ბებრეკს რო ველაპარაკები ვერ გაიგე, ხემწიფე დატუსაღებულაო, ყრუჩუნ?!..

თომა. ჰა, ჰო!.. (აქეთ-იქით იხედება, თან პირფეხას იწერს) ლიდება შენთვის ღმერთო, ლიდება შენთვის ღმერთო! სწორედ მეორედ მოსვლა...  
ყოჩინა (მოისმის ერთხას გაუძარჯვას!..

პეტრე (მოუძღვის) აქეთ ამხანაგებო, აქეთ! ერთი ე ჩვენი ძველი კანცელარია ცვინახოთ! აქ ბევრი ცოლოა!.. (ჩაუდენივე გლეხი შეჰყვება პეტრეს, სოფლის სამართველოდან გამოიტანს ნიკოლოზ შეფის სურათს, ჩანჩქოში ჩასმულს, უკან მოსდევს გაფითრებული მამასახლისი. მამასახლისმა არ იცის რა ქნას. პეტრე ჩანჩქოს ფეხს ჩასტეშს და ფხვრეწავს) ასე დაიფხრიწოს ყველა ჩვენი ავად მახსენებელი!

ტაკვია. აი, ეგრე, ეგრე ცეცხლი წაუკიდეთ, ცეცხლი...  
მამასახლისი მე კიდე ჩემსას გეტყვით: ეს დრო იმ დროდ არ მოვა... ფრთხილად, თორემ...

**პეტრე.** ერთი ამას შეხე, როგორ გვე-  
შუქრება კიდევ!..

**ტაკვია.** რა ბევრს ალაპარაკებთ?! თუ  
ძველი მთავრობა დაემხო, ჩვენი სოფელი მე-  
ფეხ უნდა დაემხოს...

**ხმები:**—ძირს მამასახლისი.  
—ჯაქვი ააწყვიტეთ!  
—ჯაქვით მიიბით ხეზე!..

**პეტრე.** შენიქნება ფიქრებ, ძველი მთა-  
ვრობა კიდევ დაბრუნდეს! სინსილას გაგიწყ-  
ვეტო... (საღახო შემოკვებოვა შამასახლისს. პეტ-  
რე ჯაჭვს წამოაწვევებს ერთი ტალღა მამასახლის  
გაიტაცებს).

**მეშინდურე** (გღესთა ჯგუფში ეგლზე წითელი  
სელსახცი, ნაბდის ქუდი კეფასე გვერდზე ფან  
ჯურს უკრავს, თან დაძვრის (თუშ-ფშაუ-ხევისუ-  
რულ კაღოზე აზრი აღებუღია)

ერთხელ კიდევ წიგნს მოგწერავ, ყოფილ  
ხემწიფეო,  
მამა შენი ბილწი იყო, შენ იმისი ძეო,  
არყებ დაგვიღე ბაფები, წილი ჩაიდეო!  
ტყუებო რო შაგვიკარი, გვხოცავს სიცი-  
ვეო!

ბიჭები სულ ომს წაასხი, ქერი დაგვიმხეო,  
გოგოები დაგვიმშიე, გაჭკრა სასიძეო!..  
ველარ გასძელ ჩვენის სისხლით, სვავო  
სამიწეო.

თვალი დაგიღვეს ნიკოლოზ, აღარა ხარ  
ზეო.

ყირწა-ყურწა გადადიხარ, უკან მოგღვეს  
ძეო,

მამაპაპის შენსა ტახტსა ველარ ეღირსეო.  
ახლა მომკე, ჩვენს სატანჯად რაც რო  
დათესეო!..

**ხმა**—აბა, ლტკური!..

(**დეკურს დაუკრავს, ორნი  
ტეკუენს. ტეკუით ჩაიგღიანს**)

**თამა** (გაოცებული იუზრება შორს) შეხე,  
თითქო ალაფერდობას მიდიანო. რამდენა ხალ-  
ხი გროვდება!.. სუ კი ბერი კაცი, წვრილ-  
ფეხობა და ქალობა... აი, გასწყდეს ჩვენი  
ვაჟ-კაცობის ჯილაგის ამომგდები!..

**ქალთა გუნდი** (სიმღერით. შორიდან არ-  
ტყუარებათ ქართულენოვან ხმაზე)

გლების ცრემლისა ტბა იღვა,  
ოშნივრით ცასა სწვდებოდა,

ზედ მეფე ნავით ცურავდა,  
გლები არ ებრალებოდა,  
გადაუბრუნდა აწ ნავი:  
ცრემლთ ტბაში იბნიდებოდა...

**კეკე.** ოი, თქვენი ენაპირის ქირიმე!..  
ოლონდაც, რომ ცრემლის ტბაში უნდა ჩაი-  
ხრჩოს ჩვენი შემაწუხარი... მა რა ეგონა,  
ორად ორი ძმა რო გამტაცა: ერთს ციომირს  
უკრა თავი—ერთობაში რათ ერევიო, მეორეს  
ჯარში, საღდაც მოუსავლეთში! (ქალთა გუნ-  
დი ჩაიგღის. კეკე და თინა ჩამოაჩვენებან)

**პეტრე.** კეკე, აღარა ხუმრობთ, აი! ლა-  
მის არის ბიჭებს გვაჯობოთ!

**კეკე.** ნურსად იტყვი: განა მარტო ახ-  
ლა გჯობივართ თუ (სიცილიან)

**მარტირუზა** (ხელის ჯოხზე წითელი  
სელსახცი შეუბავს, მადლა უჭირავს, თან ახ-  
ლავს სტეფანე, ვანტუა საღდათი მექქა). და სხ.  
ტაკვიავა, მარტირუზა ზედა ქარმა დაუბერა?  
შენა და წითელი ღროშა?! თუ ერთობას  
მასხარად იღებ.

**მარტ.** მა ხარა რომელია?

**ტაკვია.** ერთობის ღროს არ იყო, ჩვენი  
გიო რო გადაასახლებინე?

**მარტ.** ხელი აიღე, მამა გიცხონდა... რა  
გენერალგუბერნატორი ვიყავ! მე-კი არა,  
თავისმა ქკუამ გადაასახლა,—რაო, ალაღმარ-  
თალ კაცს ბოიკოტი რო გამომიცხადა, კაცი  
მიწასთან გამასწორა—შერჩებოდა!..

**პეტრე.** არ შერჩებოდაო და ახლა ციხი-  
დან გამოსული, საცაა მოვა და პასუხი მიე-  
ცი!..

**მარტირუზა** (ტოტა შეფუფხუნებული). რაო,  
გიოც გამოუსეიათ?

**ტაკვია** რა ვერ გაიგე. რო მთელი ცხე-  
ები გაუღიათ.

**მარტ.** (თავისთვის) აბა, მოდი შენა და  
სამართალი იპოვნე! სწორედ ამაზეა ნათქვამი:  
ქვა დაუბამთ, ძალი აუშვიათო! (თან ქალებისკენ  
გაიუურება, საღაც თინა სდგას. ჯოხს დუქნის  
წინა ბოძზე მიამაგრებს და კომპანია დუქანში  
მიიხატიყებს)

**კეკე** (თინას) გაიტე, საცაა ეთ დაბრუნ-  
დებაო.

**თინა** (ოდნავ შეწითლებული) დაბრუნდეს  
ჩა!

**ხმა** (შორიდან მოისმის) გაუმარჯოს, გაუმარჯოს.

**პეტრე.** დაშენაძლიე სწორედ გიჲ იუჲს, აი აგურ ცხენ და ცხენ რა მოქროლდა წითელი დროშით... აჭა, ცხენიდან გადმოიდექს, ბიჭებს ხელში აიტაცეს. ის არის, ის! აბა შეეგებებეთ- გაზა. თითქმის შეეჯანი გაჭეუებთან, მარტი- რუხას, თამას, ტაგვიას, კაკას და თინას გა- რდა. ქალები სტენის უკანა რიგზე შორს იუუ- რებთან, საათაც გიჲ უნდა მოსულა)

**მარტირუზა** (მალი მალ თინასკენ იუურე- ბა, უნდა რაგადრე მიუახლოვდეს, მაგრამ ვერ მოხერხდება) მამ მარტირუზას სიყმე მოკვ- დეს თუ, შენ ხელიდან გაგიშვას ერთი გიჲ კი არა, თუნდა ხუთი მოვიდეს! ვა, გიჲ ვარ: მზესთან ვიყო არ გავთბე, ვენახში ვი- ყო—ყურძენი არ ვიგემო!

**ხმაურობა,** გიჲს გაუმარჯოს, გიჲს! (ხმაურობა თან და თან ძლიერდება).

**მარტირუზა** (შუბლზე ხელს მოიხრდილებს და გასტკეპის) ვა, ერთი უყურე. ვა, თითქო ყვენი იყოსო...

**კაკა** (გასტკეპის) მხარზე შეისვეს და ისე მოარბიენებენ...

**თომა** (გასტკეპის) ქწორეთ ჩირკია რა- და!..

**მარტ.** გეუბნები, კაცი უბატონოთ ვერ გასძლებს: გუშინ ერთი ეჭდა კისერზე, ის ჩამოავლო. დღეს მეორე უნდა დაისვას!

**გიჲს ხმა** (აღტეინებული) ძმანო მო, მილოცავს? ქრისტე აღსდგა; დაემხო ხალხის სიხლის მწოველი! დღეიდან ხალხია თავის თავის ბატონ-პატრონი და მის ლალა-ძიძა აღარ სჭირდება!

**ხმა** აღარ, აღარ!

**გიო.** ამხანაგებო, დღეს თავისუფალი მოქალაქენი ხართ. მერე იცით ვინ მოგანიჭათ ეს თავისუფლება?—რუსეთის დიდმარეგოლი- უციამ.

**ხმები.** გაუმარჯოს რუსეთის რეგოლიუ- ციას.

**გიო.** რუსეთმა თავისუფლად ამოისუნთ- ქა. რუსეთი თავისუფალია. საქართველო? საქართველო ჯერ კიდევ მონაა. დღემდე რუსეთი ჩვენ ორნიირად გვჩაგვრავდა. გჩაგ-

რავდა, როგორც საერთოდ თავის ქვეშევრ- დომს, როგორც ადამიანს, და გვჩაგვრავდა როგორც ერს, უცხო ტომს. დღეიდან რუ- სეთში ყოველნიირი ჩაგვრა უნდა მოისპოს!..

**ხმები,** მოისპოს, მოისპოს?

**გიო.** ძმანო, ას ჩვიდმეტი წელიწადია ჩვენი სამშობლო რუსეთის მეფეების ტყვე იყო, მონა-მორჩილი... ამ მონობაში ყველა- ზე მეტად ვინ იჩაგრებოდა? ქართველი სა- ლხი—გლახაკობა და მუშები... როგორც კაცი კაცის მონა არ უნდა იყოს, ისე ვრი ერის მონა არ უნდა იყოს..

**ორთავჯან.** არ უნდა იყოს, არა!..

**გიო.** ჩვენისთანა ჩაგრული ერი რუსეთ- ში ბევრია. ყველა მათ მოითხოვს თავისუფ- ლება... ჩვენა?

**ხმები.** ჩვენც უნდა მოვითხოვოთ, ჩვენცა.

**თითო ოროლა ხმა.** მაგრამ გაცალკეება არ გვარგებს...

**გიო.** განა თავისუფლება გაცალკეებაა? არა, ძმებო! ჩვენ რომ ჩვენს ენაზე ვილო- ცოთ, ჩვენს ენაზე ვისწავლოთ, სასამართლო- ში ჩვენს ენაზე ვისაქმოთ, ჩვენი შინაური საქმეები ჩვენს მიწაწყალზე ჩვენივე კანონე- ბით გავსამართლოთ, ამითი ვის რა დაუშავ- დება?

**ხმები.**—არავის, არვის, არაფერა.

—სწორედ ვგრე გვინდა, ვგრე!

**პეტრე.** თუ ჩემი მიწა-წყლის ბატონ-პატ- რონი მე არ ვიქნები, ისე თქვენი თავისუფ- ლება რაში მეპრინება! თუ იყოს—უნდა იყოს, რომ ჩვენც ადამიანურად ამოვისუნ- თქოთ.

**ხმები.** მართალია, მართალი!

**გიო.** ჰოდა ყველა ამას იცით რა ჰქვიან? ტერიტორიულური ავტონომია! ე. ი. ჩვენ გვინ- და ჩვენს მიწა-წყალზე საკუთარი კანონ-მდე- ბლობითი გამგეობა ანუ საქართველოს თვით- მართველობა.

**ხმები.** აი, ცხონდა შამაშენი!

**სხვანი.** აი, ეგ გვინდა?

**გიო.** ჰო და თუ ეს გვინდა, შესაფერი დად- გენილებაც უნდა გამოვიტანოთ და დროებითი მთავრობას ვაცნობოთ ჩვენი სურვილი. მეც სწორედ იმიტომ მოვედი ამ ქვეყნად, რომ

ჩვენი მრავალტანჯულ სამშობლოს სიყვარულის ცეცხლი გაგიღვით გულში!.. გაუმარჯოს საქართველოს ავტონომიას!..

**ხმები:** გაუმარჯოს

— გიოს გაუმარჯოს!

— ხალხი კიდევ მოსასვლელია, დაუცადოთ. შორი სოფლები ჯერ ახლა იძვრიან აქეთკენ!..

— დავიცადოთ და მერე ერთად მოვილაპარაკოთ!

— წავიდეს და კიდევ წავგვართოს ხარჯები!..

— კიდევ მოგვთხოვს კენჭის ბიჭები!..

— მაშინაინა "გათავდება, რაკი მეფე დაემხო... (სახლი დაღონდაღება)

— შენ კი გენაცვალეთ, რომ ე მაგეთი ბიჭი გამოგვიხვედი!..

— სუ შენ ხსენებაში ვიყავით!..

**პეტრე** (გია მჭუავეს) ისევ ისა ხარ, ჯალათებმა ჯერ კიდევ ვერ გაგტყვეს!

**თამა.** თმაში-კი ქალარა შეჰპარვია!..

**პეტრე.** უმ, დალოცვილო ჯერ ციხე, ახლა კატრეჟი, მერე ციმბირი. ადვილი ხომ არა გონია?

(უკვდა ცდილობს გიოს ხელი ჩამოართვას, ზოგი ჰკოცნას)

**ტაკვია.** გამარჯობა გიო! (დაშინანვი დამიღოთ ხელს გაუწვიდეს) მშვიდობა შენს მოსვლასა!

**გიო.** ოჰ, ჩემს ლექსოს ვახლავარ! სხვა?

**ტაკვია.** მე კი ვარ გლეხის პირობაზე მაგრამ შენ რატო ეგრე საყის პურივით ზურგი გიბრუნია.

**გიო.** როგო?

**დარ.** რა ექნა, შენ არ იძახდი, ავტონომია ჩვენი საქმე არ არისო ახლა?

**გიო.** ჩემო ლექსო, როცა რუსეთის ცივ ქვეყნებში იცხოვრებ და სხვა ხალხს გაეცნობი, მაშინ გაიგებ როგო ტყილია სამშობლო. და თუ ჩვენ სამშობლო დავკარგეთ, სულხორციანად დავიკარგებით კიდევ.

**გიო.** (ქალებსკენ გადაჯა) გამარჯობათ! **ქ.ლ.** ერთხმად. გაგიმარჯოთ! (სათითად ხელს ჩამოართმევს)

**გიო.** (თანხს ხელს ჩამოართმევს) გამარჯობა

**თინა** (ცოტა მოწესვად, თითქო გარდასად) გაგიმარჯოს!

**გიო.** მიწყრები?! პატარძალი ტყუილად, ისევ თითონ ბლულია!

**კეკე.** რატომაც არ უნდა გიწყრებოდეს?! კინაღამ სამარტიროზედ რომ გახადე!

**გიო.** მე თუ?

**კეკე.** სწორედ შენი!.. საქვეყნო საქმე ძალიან კარგია, მაგრამ კაცმა არც თავისი თავი უნდა დაივიწყოს: ჯერ თავო და თავოო, ხომ გაგიგონია.

**გიო.** მე დავივიწყე?

**თინა.** (თავდადუნული, აწითლებული, ქელგის) წვერით დედამწაზე რადაცას უზნოდ საზავს წაღმა-უკუღმა)

**კეკე.** (უნდა მარტო დასტოვოს) აბა ქალებო, მოხერხებული ადგილი ავირჩიოთ და გიოს ვსთხოვოთ, ერთი მიტინგი ჩვენც გაგვიმართოს: ეხლა ხომ ერთობაა და ქალებსაც თავისუფლება უნდა მოგვეცეს! (გადის).

**თინა** (რცა გამარტოვდებიან, თავდადუნული) რად დამივიწყე.

**გიო.** არ იქნა, არც ერთ წერილზე პახუხი არ მალირსე.

**თინა.** დედა არ მომიკვდება, შენგან ერთი წერილის მეტი არ მიმეღოს, ისიც მეტებს ციხიდან რო მომწერე.

**გიო.** ნუ თუ? მე კი ვფიქრობდი, რაკი კატორგა გადამიწყვიტეს თინამ ხელი აიღო და სხვაზე გამკვალა მეთქი.

**თინა.** უწინამც დღე დამეღევა! შენ კატორლა გადაგიწყვიტეს და არ ვიცი, ჩვენ ორში ვინ უფრო მეტად იტანჯებოდა!..

(ცრემლი ერევა)

**გიო** თინა, თინა! სემო სიცოცხლევ! ნუ თუ ჩემი მზე კიდევ ნათობს!

**თინა** შენ თუ დამივიწ... (ხმა ჩაუწყდება სიტყვის თქმა უძნელდება) წერილის ღირსიც არ გამხადე!

**კეკე** (უცებ მოგარდება) ერთი იტირეთ და თუ გინდათ ლეკურს ჩამოეურბენ! სიხარული ახლა გმართებთ და თქვენეი სტირით? სატირალი მარტირუხას ჰმართებს, რომ აღარ იცის რა ჰქნას—იადონი გაუფრინდა... ვერ იქნა და ვერ ეღირსა...,

**თინა.** ენა რო დაიმოკლო — ისა სჯობია  
გოო იქნება იყო რამე?

**კეკე.** რაღა რამე — ე დალოცვილო რებო  
ლიუცია, ერთი ორი კვირა რო შეგვთანებული-  
ყო თინას ხომ თვალითაც ვერ დაინახავდი.  
თე ლ საცხოვრებელს გადავაგებ, თინას კი ხე-  
ლიდან არ გაუშვებ. საწყალი შენს სასიღედ-  
როს. მოციქულს მოციქულზე უგზავნიდა,  
ფულს-ფულზე გიყდები, მომწონს, უმაგი-  
სოდ ცხოვრებნი შემიძლიანო! — გიყვია! შე  
კი ცოტა ვინმე მომწონს.

**გოო.** იმიტომ თუ მიმივიწყა თინამ! ეგ-  
რე უბრალო იყო ყვები ბედმა!

**ოინა** გრცხვენოდეს. გრცხვენოდეს!  
(ბეჯგას უჩვენებს)

**გოო** რაო, გამიშვებს ვითომდარას გლო-  
ვობდი

**თინ.** დაკარგულ სიყვარულს

**კეკე.** თინას რო მიევიწყენ, აქამდე  
ჩემოდენა შვილები უნდა ჰყოლოდა, მაგრამ  
არ ვიცი: ალბად თაფლისა თუ ხარ, რომ  
არ გშორდება. ლაპარაკს ლაპარაკს — და  
წყაროსთან ქალები გველიან! (მუსაიფთ გაუ-  
ძღვება, ნინა და გოო ერთად გაჭყვებიან)

**გლენთა გუნდი** (წითელი დროშით, მარ-  
სელაზას მღერაინ, ეღუფა ეარტად ვერ შეუს-  
წავლიათ)

ზურგი ვაქლოო ძველ ადათ-წესებს,  
ჩამოვიბერტყოთ ზურგზე მის მტვერი!..  
ჩვენ მხარი მივცეთ ჩაგრულ მოძმეთა,  
მეფის ტახტის ვარა მოსისხლე მტერი!..

**იოსებ იმვდაშვილი**

(დასასრული იქნება)

**ოცნება**

ჰე, მზეო, მზეო! ლაქვარდ შენება,  
ვინ მოგწვდეს უფსკრულს, ვინ და-  
გიმონოს,

რომ იქნებ წყარო უკვდავებისა  
შენ სხივში პოვოს, შენს სხივში კონოს.

რომ ძირს ბუნება მარად ყვავოდეს  
მულამ ეამს ლხენით სტვენდეს ბულბული;  
და სიყვარულის ღმერთი ხარობდეს,  
ბნელს, სიკვდილს, ყვანდე დავიწყებული.

მაგრამ ვაი, რომ ეს არს ოცნება,  
ნაშობი ფიქრის, ფუქი სურვილი,  
და კვლავ სიკვდილის ცრემლმა მოგიკლას  
უკვდავ სიცოცხლის ჩუმი წყურვილი.

ჰე, მზეო, მზეო! სიცოცხლის წყარო,  
ოდეს ბუნებას სხივი მოუწყო,  
მრავალტანჯული გმირთა სავანე  
სამშობლო ჩენი არ დაივიწყო.

და მასაც სხივი სტყორცნო მარადის,  
გამოაფხიზლო, თუ კვლავ ეძინოს,  
რომ წინაპართა ბრძოლის ყიჟინი  
ჩემებრ გაეგოს, ჩემებრ ესმინოს!

მაშინ-კი მიხვდენ ვინ არს ქართველი  
საიღამ, როდის, საიღამ მოსული,  
და საამყოთ მათ შეიყვარონ  
ჩენი დიდები, ჩენი წარსული!..

მუშა მიხ. დეგაძე



# „ფიქრი სანატრი“ და „ფიქრნი მღელვარნი“

(გაგრძელება. იხ. „თ. და ც.“ № 33)

## VI

### ნიკოლოზ ბარათაშვილის მისტიკური სი- ყვარული

ის მზინი დღე, რომელზედაც ბარათა-  
შვილს იმედი ჩქანდა, კვლავ გაუთენდა. მისტი-  
კური ზე-აღტაცება—კვლავ განიცადა. მხოლოდ  
ეს მისტიციზმი განსხიერდა არა ბუნების სიმ-  
შვენიერეში—კოსმიურ გრძნობაში, არამედ სა-  
მიჯნურო ტრფიალში. აღსანიშნავია, რომ ეს  
ორივე გრძნობანი ერთი ერთმანეთში გადად-გა-  
დმოდიან, ერთმანეთის სახეობით ფერადდებიან.  
სამიჯნურო ტრფიალის აღტყინებებს ბარათაშვი-  
ლი მზის ამოსვლას ადარებს:

„აღმოსვლად მნათი აღმოსვლადს მზეებრ  
ცხოველი,  
მტრითა შუქით გარდუჟარა ცხსა დრუბელი;  
დიდ სამქუსარო საფლარო და მეც ცლას  
გული  
მსწრაფად განმინელდა, შავ-ბედისგან დაღა-  
მებული“.

ეს მნათობი იმ ბედის ვარსკვლავია, ის  
გამოურკვეველი და გაუთვალისწინებელი მისტიკურ  
გრძნობის ობიექტი, რომელიც სწორეთ არ ერგე-  
ნება ბიეტს: სმინათ ნისლეებს იფარებს, დრუბ-  
ლებში ესგება, „მიბუფტვით მონათობს“ ხან ბუ-  
ნების მშვენიერებაში, ხან ტურთა ასულის სა-  
ხეში“.

ამ ბედის ვარსკვლავს ბიეტო ეტუოდან:  
„რას სახითაც გინდა შენ მე შეჩვენო,  
შინაც გინდობ მშვენიერო ცის მთენო.  
ნათელი ხარ შენ ნათელი გულისა,  
მადხინებულ დაბინდული გულისა.  
ნუ გტონია ბედსა მით დამიმწარებ,  
რომ შუცრათ შუქით ნისლს მოითარებ.  
შენ არ იცი რა სიამეს მომაგებ,  
როს მიბუფტვით ნისლით გამომინათებ,  
მოდმიშვილი, მადი გამომედარე,

შენგან ბნელი გული გამომიდანე,  
კვლავ ციური ცუცხლი გამომისახე,  
ნაპერწყალი ეშისა მომეურე.“

ეს ციური ცუცხლი მისტიკური განცდისა  
ლექსიში—„აღმოსვლად მნათი“ უმადლეს საზომს  
მიასწავს „მზეებრ ცხოველ მნათობად“ გარდა-  
იქცევა. აქ მგოსანი ძრეულ უახლოვდება თავის  
იდეალის, თავის ცხოვრების მიზანს.

„ნუ თუ აღმოსვლი ცხოვრებისა ჩემის  
წინამძღვრად;  
ნუ თუ შენ ჰვინო შევების სხივი ჩემს  
გულსა კვლავდ.  
კვლავ აღმიტეხო გულის ქირნი მურეუ-  
ბულნი  
და განმიახლო ნეტარების დღენი წარსულ-  
ნი.“

მაშ გამობრწყინდი მოჭთინე შუქი ეტ  
საოცარი  
და განმინათლე კვლავ ცა ჩემი ესრედ  
საზარი.  
მეტა ხელი ვუო დაჯანგებულს ჩემსა სანთელსა  
და შევართო ფიქარა ჩემი შენს ხმას  
ციურსა“

მისტიკური ექსტაზი ანუ ცხოველი განცდა  
მეტათ ხან მოკლეა. იგი განქარვების შემდეგა  
აუნახლავურებელს ზიანს სტრეგებს სულზედ. ვი-  
ლიამ ჟემსი, ცნობილი შროფესორი გარვანდის  
უნაფერსიტიტისა ამერკაში—თვის წაგნში  
„მრავალ ფეროვნებას საწმუნოებრივი განცდისა“,  
რომელშიაც ზედ მიწევინთ აქვს გამოკვლეული  
მისტიციზმი—სწერს, რომ ეს ექსტაზი გრძე-  
ლდება არა უმეტეს ნახევარა“ საათისა. მის  
შემდეგ სულში კვლავ „სევდა და წყვდიადი და-  
ისადგურებს“ აი რათ იყო ბიეტის ცაც დიდ  
სამქუსაროდ მოდრუბული მთაწმინდაზედ შემო-  
დაშების შემდეგ. ეს სახლი ტრფობის ექსტაზი  
მოაწმინდის ამგვარსვე სულიერ განცდას ატო-  
ნებს მას. ამიტომ სწერს:

განმიახლე ნეტარების დღენი წარსულნი  
რომ  
„დავმდგრდე მას დროს,როც ვარსკვლავი  
მშვენიერის ცის  
შინეტარებდა სიცოცხლისა დღეთა სიამით.“

შეგსთქვამდე თუ ვით მიმეფანა იგი მსწრელ  
 ღრუბელს  
 ბოლოს ვუმდერდე შექსა შენსა შევების  
 მომეფენელს“.

თუ მისტიკური ექსტაზი მსწრელ-წამბა-  
 ლია და ხან მოკლე თვით გრძნობა მისტიკური  
 წარუსტრეფის იმ ხუნახდურებელი დანაკლისით,  
 იმ ახსრება-დღარელებით, რომელსაც სულს მი-  
 აუენებს, ეს დანაკლისი ზოეტს გარდაქმნება შე-  
 ტაფიზიკური ურვა-სეუდის წყაროთ. ამას ცხა-  
 დათ წინასწარ გრძნობს ბარათაშვილი და ამი-  
 ტომ ეტევის თავის სატრფოს.

“ფეფიტავ ძლიერისა სხვისა შენსა ჭი მნათო  
 ჩემო  
 იდეს ვახალო მდინე ბუნდი შენს შექს  
 გარემო  
 შეის დამიღამდეს ამა სოფლის სიამოვნება  
 და შენთვის დაუსდგა ტრფობის წინეთ  
 უფელი დ ღება“.

ცხადია, რომ ზოეტის ორგვარივე ექსტაზი,  
 როგორც კოსმიურ-მისტიკური ისე სამიჯნურო,  
 უნდა მიმქადაღეუნენ და გამოეწვიათ მის სულში  
 დიდი ახსრება და სიტყვურე კოსმიურა გრძ-  
 ნობის მიწელება ბარათაშვილმა დაგვისატ ღექ-  
 სში „ვზარეე ტაძარი“

დ. დეკანოზიშვილი  
 (გაგრძელება იქნება)

## ახალი წიგნი

საქართველოს სოციალდემოკრატიულ პარტიის  
 ორგანოს „ხალხის თავისუფლების“ გამოცემა № 1

### ვ. გომართელი

საპარტიოლოს ტერიტორიალური

### ავტონომია

ანუ  
 მარკნულ-ტერიტორიალური

### თ ვ ი თ მ ა რ თ ვ ე ლ ო ბ ა

წიგნში მოთვსებული: 1) ავტონო-  
 მიის ცნბანი სოფლის ხალხისათვის; 2) საქა-  
 რთველოს ტერიტორიალური ავტონომია, 3)  
 ტერიტორიალური ავტონომია და კლასთა  
 ბრძოლა (ოთხი წერილი), 4, საქართველოს  
 ავტონომია და საქართველოს ერები, 5) მუ-  
 შას; 6) სოფლის ხალხს და 7) ავტონომიის  
 სხვა და სხვაობა.

წიგნი შეიცავს 80 გვ. მავთულით შე-  
 კანულია და ღირს 25 კაპ.

წიგნთ მოვაჭრეებს დაეთმობა:

100 ცალი—20 მან,

მსურველთ მიმართონ თბილისში „ხალ-  
 ხის თავისუფლების“ რედაქციაში, ბაზრის ქ.  
 არჯევანიძის სახ. № 20, ალექსანდრეს  
 ღის პირდაპირ, მეწიგნეების რიგზე. ფოს  
 ტით; Тифлис, Ред. „Халхის Тавისუფლე  
 ბა“—Иос. Имедашвили.

## წ წ მიიღება ხელის მოწერა 1917 წლისათვის

თეტრო-სალტერატურო, სამახტვრო  
 კვირავული შურნალი

წლიურ ხელის მომწერნი მიიღებენ-  
 ორ პრემიას

# თეატრი და ცხოვრება

(წელიწადი მეხუთე)

გამოცვა სრული პროგრამით

შურნალი პარტიათა გარეშა, პროგრამული მიმართულებასა

აკაკის „ნაპნებნი და ბარნული სი  
 ტაქვიბი“ ავტორის სურათებით  
 ფაქსიმილეთი და ბიოგრაფიით.

ჭ. ლომთაიძის „ჩემული  
 აზრები“

ავტორის სურათით, ფაქსიმ. და ბიოგრაფიით.  
 უკვე ცნობილი რედაქციით

ააუნლში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი დბიმსურებული და ახალაზრდა ნი-  
 ჭიერი მწერლები: მგოსნები, კრიტიკოსე, მუსიკოსები, მხატვრები

შურნლის ფასი ორივე პრემიით წელიწადში ღარს 8 მან. ნახევარის წლით  
 მახ. 50 კაპ. თითო ნომერი ეველგან 15 კაპ ფელის შემოტნა ნაწილ-ნაწილად  
 შეიძლება: ხელის მოწერის ღრფს 3 მ, 1-მასამდე—3 მ. 1-ელ ენკენისთვემდე 2  
 შელის მოწერა მიიღება: თბილისში, „სორაპნის“ საბაზის კანტორაში (მალათოვის კუნ-  
 ძული, № 1, ვორანცოვის მეორე ხიღის ყურში). ქალაქ გარეთ ხელის-მომწერთ ფული უნდა  
 გამოგზავნონ შემდეგის მისამართით: Тифлисъ, ред. „Театри да Цховреба“ Иосифу Име-  
 дашвили. რედაქტორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი

# წვრილი ამბები

დ. ჩხარის „მომავალ თეატრის“ ფონდის გასაძლიერებლად ფული გროვდება თავისუფალ შემოწირულებით.

ახალი პიესები დასწერეს: კ ფოცხვერაშვილმა „სოციალისტები“, კომედია მუსიკით: 2) ს. ქანტური-შვილმა „სული ობოლი 3) იოსებ იმედაშვილმა— „სოფლის მიტაცზე“. სურათები 1 მოქ.

მინა ჯაფარიძე სწერს ახალ პიესას „დედა და შვილები“. ქართველ მაჰმადიანთა შესახებ.

უკრაინელ ცნობილი მწერლის ვინიჩენძოს პიესას „შავი პანტერა-ს სთარგმნის მიზ. ხორხელი, პიესა ჩვენს ჟურნალში დაიბეჭდება.



ილია ჭავჭავაძე სტუდენტობის დროს.

დაქორ-გამომცემელი იოსებ იმედაშვილი



სასახლის ქუჩა  
თავდაზნ. სახლი  
ერთად ერთ რესტორან „კაფე პარიზს“  
საზაფხულოდ აქვს ბაღი, სადაც სუფთა ჰაერ-ზე შეიძლება საუზმის, სადილს და ვახშმის მირთმევა, არის ცალკე ფანჯატურები და კაბინეტები. სანოვან საუკეთესო ღირსებისაა პატვისცემით სილ. გიგიბერია.

## გამოვიდა და

ვევლგან ისეიდება

ფენი დვალის

1) საგიუეში დაწერილი  
**სიმღერები**

ფასი 40 კაპ.

2) მწა ე სიმღერები

ფასი 30 კაპ.

## ქართული კლუბი

1 კვირის პროგრამა

ორშაბათი — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-50

ესამშაბათი — საოჯახო საღამო

ო.თ.შაბ. — სინემატოგრაფი. სიმეზ. ორკ.

ხუთშაბ — ქართ. წარმ. ბილეთები 50-30 კაპ.

პარასკ. — ოპერეტა. ბილეთები: 1 მ.-30 კ-დ

შაბ — საღ.

კვირა — რუსული წარმოდგენა. ბილეთი 50-30 კ.

სტამბა „სოციალისტი“